საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №1064

2012 წლის 29 ნოემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ტექსტის მიღების მიზნით ევროკავშირთან მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 12 ივლისის № 489 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ტექსტის მიღების მიზნით ევროკავშირთან მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 12 ივლისის № 489 ბრძანებულებაში (სსმ III, 2010 წ., №84, მუხ. 1206) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანებულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ტექსტის მიღების მიზნით ევროკავშირთან მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს დელეგაციას (შემდეგში - დელეგაცია) შემდეგი შემადგენლობით:

დავით ზალკალიანი	-	საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, დელეგაციის ხელმძღვანელი, დელეგაციის I სამუშაო ჯგუფის თანაკოორდინატორი
ნიკოლოზ ვაშაკიძე	-	საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, დელეგაციის I სამუშაო ჯგუფის თანაკოორდინატორი
თეა ახვლედიანი	-	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი, დელეგაციის აღმასრულებელი სამდივნოს ხელმძღვანელი
ლევან იზორია	-	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, დელეგაციის II სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი
გოჩა ლორთქიფანიძე	-	საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, დელეგაციის II სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის მოადგილე

თამარ ბერუჩაშვილი	-	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, დელეგაციის III სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი
დავით ლეჟავა	-	საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, დელეგაციის III სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის მოადგილე
მარიამ ჯაში	-	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, დელეგაციის III სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის მოადგილე
მიხეილ ჯანელიძე	-	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, დელეგაციის IV სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი
ირაკლი მატკავა	-	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, დელეგაციის III და IV სამუშაო ჯგუფების კოორდინატორების მოადგილე
არჩილ ყარაულაშვილი	-	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ევროინტეგრაციის საკითხთა კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი.“;

ბ) ბრძანებულების მე-2 პუნქტით დამტკიცებული „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ტექსტის მიღების მიზნით ევროკავშირთან მოლაპარაკების გასამართად საქართველოს დელეგაციის დებულების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. დელეგაციის ფარგლებში იქმნება შემდეგი სამუშაო ჯგუფები:

ა) I სამუშაო ჯგუფი - პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა; თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროებში;

ბ) II სამუშაო ჯგუფი - მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება;

გ) III სამუშაო ჯგუფი - ფინანსური და ტექნიკური თანამშრომლობა; ხალხთა შორის კონტაქტი; ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობა;

დ) IV სამუშაო ჯგუფი - ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები; ვაჭრობა და თანამშრომლობა რეგულირების სფეროში.“.
2. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**